
ჰაინრიჰ ბიოლის ფონდში 2010 წლის

10 მარტს გამართული საჯარო დისკუსია
თემაზე:

„კულტურული მემკვიდრეობის დაცვის
პოლიტიკა“

ძირითადი მომხსენებლები:

კოკა ამირეჯიბი – არქიტექტორი/
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
პროფესორი

ნიკოლოზ ვაჩეიშვილი – კულტურული
მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს
დირექტორი

ნესტან თათარაშვილი – არქიტექტორ-
რესტავრატორი

მოდერატორი: გიორგი გვანარია

გოგი გვახარია – ჰაინრიხ ბიოლის ფონდში დისკუსიები ყოველ ორ კვირაში ერთხელ იმართება. კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ფონდისთვის პრიორიტეტული თემაა, ამიტომაც ამ თემაზე დისკუსია ბიოლის ფონდში არა ერთხელ გამართულა. ეს დისკუსიები ყოველთვის გამოირჩეოდა ხალხმრავლობით და მძაფრი პოლემიკით. იმედი მაქვს, რომ დღევანდელი დისკუსიაც საინტერესოდ ჩაივლის. აქვე ვიტყვი, რომ რაც უფრო გადის დრო, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პოლიტიკა მით უფრო ახალ პრობლემებს იკავშირებს, თავს იჩენს ახალი პრობლემები. მაგალითად, დღეს ალბათ ვისაუბრებთ კათოლიკური და სომხური ეკლესიების მდგომარეობაზე, იმიტომ რომ ეს საკითხი კულტურული მემკვიდრეობის პოლიტიკასთან არის დაკავშირებული.

დღეს, რა თქმა უნდა, ვისაუბრებთ იმაზეც, არის თუ არა ქვეყანაში შემუშავებული კულტურული მემკვიდრეობის პოლიტიკა და როგორია იგი.

პირველ რიგში ბატონ ნიკა ვაჩეიშვილს მოვუხმინოთ, რომელმაც ალბათ ყველაზე კარგად იცის ამ სფეროში არსებული პრობლემების შესახებ.

ნიკოლოზ ვაჩეიშვილი – სიამოვნებით ვისაუბრებ ამ თემებზე, იმიტომ რომ ასეთი ღია დისკუსიები, როგორც წესი, კარგი მიმართულებით აკორექტირებს დაგეგმილ ხაზს. იმის შესახებ, არსებობს თუ არა კულტურული მემკვიდრეობის პოლიტიკა, შემიძლია ვითხრა, რომ კულტურული მემკვიდრეობის პოლიტიკა სახელმწიფოში არსებობს. კულტურული მემკვიდრეობის პოლიტიკა განლაგებულია ის, რაც მოიცავს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მექანიზმებს. ეს პირველ რიგში გულისხმობს იმას, იცოდეთ, რა კულტურული მემკვიდრეობის მფლობელი ხარ, რაც აღრიცხვა-პასპორტიზაციის მუდმივ პროცესში გამოიხატება, რაც უფრო დახვეწილია ეს მექანიზმი, მით უფრო წინ არის წასული ქვეყანა. ამას მოსდევს იურიდიული მექანიზმების ადეკვატურობა, რათა კანონის მიხედვით იყოს აღრიცხული და დაცული კულტურული მემკვიდრეობა. ამის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია, წინდაწინ იყოს დაგეგმილი ის რისკები, რასაც შეიცავს ეს თუ ის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, ასევე, გადაუდებელი რისკების შემთხვევაში დაუყოვნებლივი რეაგირება და პრევენციული კონსერვაცია. ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ ერთჯერადი მოვლა-პატრონობა გადაიზარდოს ყოველდღიურ მოვლა-პატრონობაში. ეს პირდაპირ არის დაკავშირებული ტურისტული პოტენციალის ამოქმედებასთან, ასევე ეკონომიკური რესურსის ამოქმედებასთან, ასევე, დამატებით სამუშაო ადგილებთან, თან, დიდ ქალაქებში კი არა, ერთი შეხედვით არაფრით გამორჩეულ და სწორედ ამით უნიკალურ ადგილებში მთელ საქართველოში.

მეორე პარალელური მიმართულება განლაგებულია ყველაფრის ინტერპრეტაცია. ამაში იგულისხმება მეცნიერულად ინტერპრეტირებული აღრიცხვა. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია მეცნიერული ცოდნის ინტერპრეტაცია საზოგადოებისთვის გასაგებ ენაზე. განსაკუთრებით ახალი თაობისთვის გასაგებ ენაზე. ამის შემადგენელია პუბლიკაციები როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. ამის მიზანია, დღემდე უჯრებში შენახული სამეცნიერო ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახდეს საზოგადოებისთვის.

ძალიან მნიშვნელოვანია, ასევე, რომ კულტურული მემკვიდრეობის პოლიტიკა არ იყოს აქცენტირებული მხოლოდ ერთ სფეროზე. დამეთანხმებით, როდესაც ძეგლს ახსენებდნენ, თვალწინ საეკლესიო ნაგებობა წარმოგვიდგებოდა. ეს კლიშე მოხსნილია და კულტურული მემკვიდრეობა მოიცავს ყველა არსებულ სფეროს. ამაში შეიძლება მოაზრებული იყოს გუმბარა აშენებული შენობა, ეს შეიძლება იყოს საბჭოური საშინელი ქანდაკება, რომელიც დგას, მაგალითად, სოფელ მეტეხში და მას, როგორც უნიკუმს, უნდა მიენიჭოს კულტურული მემკვიდრეობის განუმეორებელი კოდი ერთიან საინფორმაციო სისტემაში. და ეს სისტემა არის კულტურული მემკვიდრეობის

პოლიტიკის ნაწილი, როდესაც სისტემურად შევიძლიათ ამ ერთი მითიდან გაიაროთ თვალუწვდენელი ცოდნის არეალში.

მეორე საკითხია რელიგიური უმცირესობების მემკვიდრეობის დაცვა. ჩვენი კანონი ამბობს, რომ სახელმწიფო იცავს ყველას, წარმომავლობის მიუხედავად, იქნება ეს სომხური, აზერბაიჯანული, კათოლიკური თუ ა.შ. მაგრამ საკითხი ასე დგება – ეს არის დეკლარირებული? რეალურად კი, ძირითადი თანხა ბიუჯეტიდან (ეს ბიუჯეტი კი არ არის ძალიან მდიდარი) იხარჯება იმ მემკვიდრეობაზე, რომელიც განსაზღვრავს პირველ ყოვლისა საქართველოს იდენტურობას. თუმცა, ბალანსის დაცვაც ხერხდება. შემოიღია გავიხსენოთ ონის სინაგოგის, ოსმალური ძეგლების გულდასმითი ფიქსაციის მაგალითი, ასევე, სომხური ეკლესიების თემა, რომელიც სულ უფრო აქტუალური ხდება. მაგრამ აქ არსებობს კიდევ ერთი იურიდიული ხასიათის პრობლემა. ეს უკვე სხვა სფეროების პრობლემაა და არა კულტურული მემკვიდრეობისა, რომ გაიმძღვროს საკუთრება ამა თუ იმ რელიგიური კონფესიისა თუ კერძო მფლობელისა. ანუ, კულტურული მემკვიდრეობა კარგად არის დაცული მაშინ, როდესაც განსაზღვრულია მისი მფლობელი. ეს თემა დაკავშირებულია ძალიან რთულ და სენსიტიურ საკითხებთან.

გოგი გვახარია – ვიმედოვნებ, რომ როდესაც კითხვებს დაუსვამთ, ბატონი ნიკა უფრო კონკრეტულ საკითხებზეც ისაუბრებს. მაგრამ მანამდე სხვა მომხსენებლებსაც მოვუსმინოთ. ახლა სიტყვას ბ-ნ კოკა ამირეჯიბს გადავცემ.

კოკა ამირეჯიბი – მოგესალმებით, მაღლობას გიხდით მოწვევისთვის. ჩემთვის დიდი პატივია თქვენს წინაშე გამოვლად. მიმაჩნია, რომ ასეთი შეხვედრები ძალიან სასარგებლოა. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის თვალსაზრისით, საქართველოში ამ დარგში დღეს არაერთგვაროვანი სურათია. ჩვენში კულტურული მემკვიდრეობა, სამწუხაროდ, ისევეა დაცული, როგორც სხვა ყველაფერი. იმიტომ რომ ქართველები ვართ. ჩვენ რომ გერმანელები ვყოფილიყავით, გაცილებით სხვანაირად იქნებოდა საქმე. მაგრამ რასაც ვაკეთებთ სხვა დარგებში, იმას ვაკეთებთ კულტურული მემკვიდრეობის დასაცავადაც. მე ვიტყვოდი, რომ ზიგზაგებით დავდივართ ამ გზაზე. ხან ზევით მიდის ეს გზა, ხან ქვევით. დღევანდელი ფაზა, სამწუხაროდ, ამ საქმეში უფრო ქვევით სვლას, ვიდრე ზევით. ჩვენთან საკმაოდ კარგად იყო ეს საქმე დაყენებული საბჭოთა პერიოდის ბოლო ეტაპზე, როდესაც არსებობდა ძეგლთა დაცვის მთავარი დეპარტამენტი. მას ხელმძღვანელობდა ბ-ნი ირაკლი ციციშვილი. დეპარტამენტში შეკრებილი იყო ამ დარგის საუკეთესო ძალები და მაშინ ძალიან ბევრი კარგი საქმე გაკეთდა. იმ პერიოდში ჩაეყარა საფუძველი ძეგლთა დაცვის ძლიერ თეორიულ და პრაქტიკულ სკოლას, რომელიც საქართველოში არსებობს. სამწუხაროდ, შემდეგ, ბევრი რამ შეიცვალა. დამოუკიდებლობის პირველ ეტაპზე ეს საქმე დაცემის გზაზე იყო. თბილისის ისტორიულ ნაწილში იმ დროს საშინელი ზომის და მასშტაბის შენობები შენდებოდა. უმართავმა პროცესებმა საზოგადოების სამართლიანი რისხვა გამოიწვია, პროტესტი გამოითქვა. ბ-ნი ნიკა იყო ერთ-ერთი ინიციატორი ამ პროტესტების. მაშინ მის მიერ დაგეგმილმა ღონისძიებებმა დიდი როლი ითამაშა. თბილისის ისტორიულ ნაწილში მშენებლობაზე მორატორიუმი გამოცხადდა. ნელ-ნელა ეს პროცესი გამოსწორდა და დადებითი მოვლენებიც გაჩნდა. პარლამენტმა მიიღო ახალი კანონი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ. მერე ამ კანონის რამდენიმე რედაქცია იყო მიღებული.

კულტურის სამინისტროს ინიციატივით შესრულდა ორი ძალიან მნიშვნელოვანი სამუშაო. ეს არის თბილისის და ბათუმის ისტორიული კულტურული საყრდენი გეგმები. მქონდა პატივი, მონაწილეობა მიმეღო ამ სამუშაოებში. და მიმაჩნია, რომ ძალიან მნიშვნელოვანი საქმე გაკეთდა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების დონეზე. აღრიცხვა, ინვენტარიზაცია, იდენტიფიკაცია, გეოინფორმაციული სისტემების გამოყენება, თანამედროვე პროგრამული უზრუნველყოფა,

პასპორტიზაცია, აღრიცხვა, ბარათების შედგენა – ეს ყველაფერი უმაღლეს დონეზე გაკეთდა. მარტო თბილისის მაგალითი რომ ავიღოთ, თუ ამ გეგმამდე თბილისში 750 ძეგლი იყო, ამის შემდეგ სპეციალისტთა ყურადღების ქვეშ 1800 ძეგლი მოექცა.

ამ პერიოდს, სამწუნაროდ, უკუსვლა მოჰყვა. 2008 წლის ივნისში პარლამენტმა კულტურული მემკვიდრეობის კანონში ცვლილებები მიიღო და ამან უკან დაგვხია და სერიოზული მარცხი მიაყენა ამ საქმეს. ექსპერტებისა და სპეციალისტების დიდი პროტესტის მიუხედავად, კანონში შეტანილმა ცვლილებებმა ნოლზე დაიყვანა აქამდე არსებული მიღწევები და ხელ-ფეხი გაუხსნა ინვესტორებს და არაკეთილსინდისიერ მენაშენებს, რომ მათ არაკორექტული ინტერვენციები შეეტანათ ძეგლებში. ამაში იგულისხმება ძეგლის მოცულობის გაზრდა, ადგილმონაცვლეობა და ა.შ. მიმაჩნია, რომ ეს ამ საქმეში სერიოზული ხარვეზი იყო.

დღეს, მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად, ძეგლთა დაცვის სფეროში ძალიან ბევრი რამ კეთდება, კერძოდ, იმ ძეგლებზე, რომლებიც არ არის ქალაქებში განლაგებული, არამედ მოფენილია მთელი საქართველოს ტერიტორიაზე და შედის ნიკა ვაჩიშვილიგავლენის სფეროში და მისი [სააგენტოს] პატრონაჟის ქვეშ იმყოფება, ეს არ შეიძლება ითქვას იმ ძეგლებზეც, რომლებიც თბილისის ან სხვა ქალაქების ისტორიულ ნაწილში მდებარეობს. აქ სავალალო მდგომარეობაა. თუ მომეცემა საშუალება, იმ კონკრეტულ მაგალითებსაც დავისახელებთ, რომლებმაც საზოგადოების ყველაზე დიდი შემოფოთება და პროტესტი გამოიწვია.

გოგი გვახარია – იქნებ დაგვისახელოთ ეს მაგალითები.

კოკა ამირეჯიბი – კი ბატონო, ჩამოვითვლით. დავიწყოთ მირზა შაფის ქუჩიდან, სადაც დღემდე ყველასთვის უცნობია, რა კეთდება. ამ ქუჩაზე უნებართვოდ დაინგრა ერთი ძეგლი. გამოსახლებულია ხალხი და საბოლოოდ რა უნდა გაკეთდეს, არავინ იცის. რელიეფი იჭრება მაშინ, როცა ეს ისტორიული ლანდშაფტის ნაწილია და ეს ხელუხლებელი უნდა იყოს. არავინ იცის, რა ხდება რიყეზე. რაღაცას აშენებენ, მაგრამ იქ არც ბანერია განთავსებული, არც მერიის საიტზე შეიძლება ამის შესახებ ინფორმაციის მოპოვება. ასევე უცნობია, იმელის შენობის ბედიც. იმელი ალბათ განწირულია იმისათვის, რომ თავისით დაინგრეს და მერე თქვან, რომ დაინგრა. არადა, ეს არის უნიკალური შენობა და ერთ-ერთი უძვირფასესი არქიტექტურული ნაგებობა თბილისში. არავინ იცის, რა შენდება თბილისის პირველი სკოლის უკან და რამდენსართულიანი უნდა იყოს ეს შენობა. ალბათ დაუშვებელია აშენდეს შენობა, რომელიც პარლამენტზე მაღალი იქნება. არავინ იცის, რა კეთდება ჯავახიშვილის, ყოფილი ელბაქიდის დაღმართზე. დაანგრის შენობები. შემორჩენილია მხოლოდ მიხეილ ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმი. ასევე ყველასთვის უცნობია, რა კეთდება აღმაშენებლის გამზირზე როგორც ძეგლებზე, ისე არა ძეგლებზე. ან არაფერს ვაკეთებთ და ძეგლები თავისით ილუპება, ან მივადგებით და ორ დღეში გვინდა ყველაფრის გაკეთება. იგივე მოხდა აღმაშენებლის გამზირის ობიექტების შემთხვევაშიც. ნაცვლად იმისა, რომ ზომიერად და თანმიდევრულად გაეკეთებინათ აზომვა, რესტავრაცია, განეხილათ პროექტები, ერთი ხელის მოსმით მიმდინარეობს მათი ნგრევა და ჩამოშლა. კარგია, რომ რაღაც კეთდება, მაგრამ რა ძალა გვადგია, რომ ასე, ყოველგვარი მეთოდის გარეშე ვიმოქმედოთ. ეს ჩამონათვალი კიდევ შეიძლება გაგრძელდეს.

გოგი გვახარია – ახლა ქ-ნ ნესტან თათარაშვილს მოვუსმინოთ და შემდეგ უკვე შეგვეძლება შეკითხვების დასმა.

ნესტან თათარაშვილი – მიხარია, რომ აქ წარმოდგენილ ადამიანებთან დიდი ხნის ნაცნობობა და თანამშრომლობა მაკავშირებს. ასაკობრივად ის ადამიანები ვართ, რომლებიც მოვესწარით დამოუკიდებლობამდე და მის შემდგომ პერიოდს.

ბ-მა ნიკამ ბრძანა, რომ საქართველოში არის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პოლიტიკა. რა თქმა უნდა, არის. ბუნებრივია, როდესაც არის სახელმწიფო, ყველა დარგს აქვს თავისი პოლიტიკა. ჩვენ ვიცით ძველი ცივილიზაციები, მათგან არაფერია შემორჩენილი მათი არქიტექტურის გარდა და ამით იკითხება ყველაფერი. ცნობილი ფრაზა, რომ არქიტექტურა არის სახელმწიფოს და საზოგადოების ასახვის სარკე, რეალობაა. რადგან ეს დაკავშირებულია, როგორც კულტურული მემკვიდრეობის, ისე ზოგად, პოლიტიკასთან, აქ პირველ რიგში უნდა აღინიშნოს კანონები. სახელმწიფო დგას კანონზე. პირველყოფილ ტომებსაც ჰქონდათ თავიანთი კანონები. ჩვენ საკანონმდებლო ვაკუუმი არ გვქონია არც საბჭოთა და არც მის შემდგომ პერიოდში, პრობლემა სხვა რაღაცაშია და შევეცდები ავხსნა ეს პრობლემა.

ძეგლთა დაცვის დეპარტამენტში 1983 წელს დაიწყო მუშაობა. მაშინ ძალიან დიდი დაფინანსება იყო, ეს დარგი ყოველწლიურად 25 მილიონით ფინანსდებოდა, 120 ძეგლი კეთდებოდა. ახლანდელი პერიოდი ძალიან მახსენებს იმ დროს. მახსოვს, ერთხელ ირაკლი ციციშვილი ცენტრალურ კომიტეტში დაიბარეს, ერთი ჩანთა სლაიდები წაიღო იმის საჩვენებლად, თუ როგორ მძიმე მდგომარეობაში იყო ძეგლები რესტავრაციამდე და რა გაკეთდა რესტავრაციის შემდეგ. ჩვენებამ დიდი ეფექტი მოახდინა, მართლაც დიდი საქმე იყო გაკეთებული. ამის შედეგად კიდევ უფრო გაიზარდა დაფინანსება, ძეგლთა დაცვის ფილიალები და საწარმოები გაიხსნა რეგიონებში, მთელი ინდუსტრია იყო. მაგრამ მაშინ არსებული პრობლემები დღემდე თავს იჩენს. მთავარი ფიგურა ასეთ სტიმულირებულ დარგში გამოდიოდა “პრარაბი”, მშენებელი. არქიტექტორი უსუსურ რგოლს წარმოადგენდა. მას აკეთებინებდნენ საპროექტო სამუშაოს და შემდგომ პროცესში უკვე აღარ შეეძლო მონაწილეობა.

ეს უმნიშვნელოვანესი პროცედურული ხარვეზი დღემდე გრძელდება. რამდენიმე დღის წინ ვესაუბრე ერთ-ერთ ჩემს კოლეგას, რომელიც არის ბაგრატიის ტაძრის რესტავრატორი. ის ასევე მუშაობდა სოლოლაკის ძეგლების რეაბილიტაციაზე. ყველა ამბობს, რომ აქვთ შესანიშნავი პროექტები, მაგრამ ისინი არ ხორციელდება. თვითკრიტიკული ვიქნები. საბჭოთა პერიოდში ჩემს ნამუშევრებშიც ამავე მიზეზით ბევრი ხარვეზია. ჩვენ არ გვქონდა ძალაუფლება, ან დაფინანსებაში ჩავრეულიყავით ან სხვა ცვლილებები მოგვეხდინა, რომლებსაც ძეგლისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. დღეს სახელმწიფოს დაფინანსება ათობით მილიონებს უახლოვდება, სტაგნაციის პერიოდიდან, რომელიც დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ იყო, გამოვედით.

დამოუკიდებლობის მიღების პერიოდზეც მინდა ვისაუბრო. მაშინ გაჩნდა დაფინანსების ახალი წყარო და თვისობრივად სტრუქტურული ახალი ერთეული – კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდი. მსოფლიო ბანკმა გამოიჩინა კეთილი ნება და გადაწყვიტა ამ დარგის დაფინანსება. ახლა უკვე ჩვენზე იყო დამოკიდებული ამ თანხის განაწილება. რა უნდა გაგვეკეთებინა იმისთვის, რომ ეს დარგი ჭაობიდან ამოგვეყვანა. ეს იყო პერიოდი, როდესაც კომუნისტური წყობიდან უნდა გადავსულიყავით საბაზრო ეკონომიკაზე. შესაბამისი სისტემა გვჭირდებოდა, ამიტომ მთავარი აქცენტი სისტემურ ცვლილებებზე უნდა ყოფილიყო გაკეთებული და ასეც იყო ჩაფიქრებული. ამის განკარგვა აღმოჩნდა უშუალოდ ზაზა შენგელიას მფლობელობაში, რომელიც მაშინ კანცელარიაში მუშაობდა. დაიბარა თავისი ნათესავი თუ მეჯვარე დავით ნინიძე და ეს ხალხი დღემდე მუშაობს ამ სფეროში. დღეს იგი მერის მოადგილეა. ამას იმიტომ გიყვებით, რომ დაშვებული იყო შეცდომა ამ კონკრეტული დარგის პოლიტიკის განსაზღვრისას. ანუ, სისტემური ცვლილებების ნაცვლად პატარ-პატარა სამუშაოები ჩატარდა. აქ დაიხარჯა როგორც გრანტი, ასევე კრედიტი, რომელიც არ ვიცი უკვე დაიფარა თუ არა. „ვარდების რევოლუციამდე“ მართლა ანონიმურობა იყო. ჩინოვნიკებიც

კი, ის ადამიანები, ვინც ანადგურებდნენ კულტურულ მემკვიდრეობას, და დღეს გვაქვს დამოუკიდებლობის პერიოდში აშენებული ასეთი მახინჯი შენობები, იქნება ეს აბანოთუბნის სასტუმრო თუ ივანიშვილის კომპლექსი სოლოლაკში, ეს ხალხიც კი წუხს ამაზე. საზოგადოება ბევრად სწრაფად ვითარდება. დღეს ყველას ურჩევნია სახელმწიფოში მშვიდად ცხოვრება, რაც განპირობებულია კანონის უზენაესობით. თუ შევარდნაძის დროს ყველაფერი ანონიმური იყო, დღეს ყველაფერს თავისი სახელი ჰქვია. დღეს პროექტები ვებ-გვერდებზეა განთავსებული, ყველაფერი გახსნილია გარდა იმისა, რაზეც ბ-მა კოკამ ისაუბრა, იმიტომ რომ ოდიოზური შემთხვევები ახლაც გვაქვს, როცა არავინ, თვით იქ მომუშავე ხალხმაც კი არ იცის, რა კეთდება.

საბჭოთა პერიოდში დაგროვილი პრობლემები, სტაგნაცია, დაუფინანსებლობა, გადმოვიდა შევარდნაძის დროს. მაგრამ როგორც იცით, თუ აზროვნებ, არსებობს. ხალხი აზროვნებდა. წამოღებული მაქვს მასალები, შეგიძლიათ გაეცნოთ მათ. გვაქვს იმ პერიოდის ანალიზის ყველაზე მტკივნეული თემა, რომელიც სახელმწიფოს ინიციატივით არასდროს არ გაკეთებულა. სპეციალისტების ინიციატივით არის გაკეთებული ანალიზი იმისა, თუ რით იყო განპირობებული საბჭოთა წყობა. მაგრამ ის თუ იყო საბჭოური, იდეოლოგიით აღჭურვილი და ტერორზე დაფუძნებული, და სხვა სახელი ერქვა, ჩვენ ხვალაც შეიძლება ის ინერციით მივიღოთ. თუმცა ეს არ უნდა განმეორდეს.

2002 წლიდან დაიწყო სხვანაირი აქტიურობა. ამაში დაგვეხმარა გაზეთი „24 საათი“. ჩვენ მოგვეცა სიტყვის თავისუფლება და იწერებოდა არაჩვეულებრივი სტატიები. გირჩევთ საჯარო ბიბლიოთეკაში მოიძიოთ მაშინდელი პერიოდიკა, განსაკუთრებით დათო მალრაძის ინიციატივით გამოცემული „დედაქალაქი“, სადაც შექმნილია ეს თემები. აქ არის ბ-ნ ნიკა ვაჩიშვილის და ბ-ნ მიტო თუმანიშვილის დიალოგი, სადაც გამოხატულია შემფოთება ძველ თბილისთან დაკავშირებით. ყველანი ვამბობდით, რომ მისი გაწირვა კომერციული მიზნებისთვის დანაშაული იყო არა მარტო ქართველი, არამედ მსოფლიო საზოგადოების წინაშე. მე მგონია, ამ აზრს დღესაც იზიარებს ბ-ნი ნიკა, ისევე როგორც საზოგადოების ნორმალური ნაწილი.

კულტურული მემკვიდრეობა არ არის ერთი რომელიმე კონკრეტული ერის და ქალაქის კუთვნილება. ეს მსოფლიოს საკუთრებაა. საბედნიეროდ, საქართველოს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხის ძეგლებიც გააჩნია. კანდიდატი კი ორჯერ მეტი იქნება. მსოფლიოში ასეთი სულ 850-მდე ძეგლია. ამიტომ ჩვენი 6 ძეგლი და კიდევ რამდენიმე, რომელიც სწორი პოლიტიკის შედეგად კანდიდატებად შეიძლება მოვიაზროთ, ძალიან დიდი კულტურული მიღწევაა. ასე რომ, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მომხდარ ძალიან კარგ პოლიტიკურ ცვლილებებს მომზადებულები შევხვდით. თანამდებობაზეც პროფესიონალები დაინიშნენ. ნიკა ვაჩიშვილი – ძეგლთა დაცვის სფეროში, მე – „აღმშენისსპექციაში“, ყველაფერი ძალიან კარგად დაიწყო. უკანონო მშენებლობების წინააღმდეგ იბრძოდნენ თვითონ ჩვენი პოლიტიკოსებიც. მაგრამ აქ არის დიდი საფრთხეც. იმ თანხას, რაც შედის სამშენებლო სექტორში, კარგი პოლიტიკით კალაპოტს თუ შეუცვლი, სხვა რაღაცას მოგცემს. პირველი მილიონი რომ გამოიყო კულტურული მემკვიდრეობის დარგისთვის, ეს ზურაბ ჟვანიას პერიოდი იყო, ბ-ნ ნიკასთან შევიკრიბეთ. ეს იყო სახელმწიფო დაფინანსება. მაშინ მე ერთადერთმა ვთქვი, რომ მოუმზადებელ სიტუაციაში, სტაგნაციის შემდეგ, ახლა მაინც დაგვეწყო ინსტიტუციური ცვლილებები. რაც მთავარია, რესტავრაცია არის მეცნიერება. მაშინ ერთადერთი სამეცნიერო ინსტიტუტი გვქონდა – გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი. საბჭოთა პერიოდში ძეგლთა დაცვის სამმართველოსა და ამ ინსტიტუტს შორის, შეიძლება ითქვას, რომ ურთიერთობა არ ყოფილა. იყო შემთხვევები, როდესაც მეცნიერები მოგვიანებით გებულობდნენ, რომ ძეგლს, რომელსაც წლობით იკვლევდნენ, რესტავრაცია ჩაუტარდა. სინამდვილეში, ეს ორი დარგი სინთეზურად უნდა მუშაობდეს. ძალიან კარგია, რომ დღეს ჩვენს ინსტიტუტს ჰქვია ქართული ხელოვნების და ძეგლთა დაცვის კვლევის ინსტიტუტი. სახელი ძალიან კარგი აქვს, სხვა საკითხია,

რას იკვლევს სინამდვილეში. მაგრამ იმისთვის, რომ მან გამართულად იმუშაოს, კიდევ გვეჭირდება რამდენიმე რგოლი. ამხელა დაფინანსების პირობებში, მაკონტროლებელი ორგანოს გარეშე მუშაობა შეუძლებელი იყო. აქ ისეთი სპეციალისტები უნდა იყვნენ, რომლებიც თვითონ არ არიან ჩართულები სამშენებლო პროცესში, და მით უმეტეს, ძეგლთა დაცვის რომელიმე სისტემურ რგოლში. ეს რომ არ გაკეთდა, ამაში ჩემს კოლეგებს ვაძანაშაულებ.

ისე მოხდა, რომ დღეს მართო პოლიტიკოსები გამოდიან დამნაშავეები. ამასწინათ, როდესაც გიგი უგულავას შევხვდი იკომოსის ჯგუფთან ერთად, გვერდით ევდა ნიკა ჩხაიძე, რომელთან ერთადაც დავიწყეთ შევარდნადის პერიოდში ბრძოლა უკანონო მშენებლობების წინააღმდეგ. ეს არის ადამიანი, რომელსაც დასავლეთში აქვს განათლება მიღებული, მას ეკუთვნის ძალიან კარგი სტატიები. და ვუთხარი, რომ არ არის აუცილებელი გიგი უგულავა ან თანამდებობის სხვა პირები იყვნენ სპეციალისტები, ამ ადამიანებმა უნდა აუხსნან მათ ის, რასაც თავიანთ სტატიებში წერდნენ. ზუსტად იმ პერიოდში აყალიბდნენ ახალ სისტემას და სადავეები ისევე საბჭოთა პერიოდიდან გადმოსულ ადამიანებს, მათ შორის დავით ნინიძეს, გადაულოცეს. ეს არის იმის მაგალითი, რომ საბჭოთა მემკვიდრეობა ისევე თავს იჩენს ყველაფერში.

თუ რესტავრაცია კეთდება, ის მეცნიერულ დონეზე უნდა გაკეთდეს. დღეს მუნიციპალიტეტს ეკუთვნის მთელი თბილისი, მთლიანად გამოაცალეს კულტურის სამინისტროს ხელიდან და დაუტოვეს მხოლოდ რეგიონული და საკულტო არქიტექტურა. 2000 წელს იკომოსის მიერ თავისი ფულით თარგმნილი ძველი თბილისის მენეჯმენტის გეგმა არ განხორციელებულა. მასში დაწვრილებით არის გაწერილი მთელი სტრუქტურა. ეს ნაწილობრივ განხორციელდა – ძველი თბილისის ადმინისტრაციული ორგანო მის ნიადაგზე შეიქმნა, მაგრამ მისმა არასწორად განხორციელებამ მოგვიტანა ეს შედეგები. დღეს ეს დარგი მთლიანად პოლიტიზებულია. ჩვენ უკვე კონფლიქტში მოვიღვართ საერთაშორისო ორგანიზაციებთან. მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხის ძეგლებზე დღეს დიდი პრობლემა გვაქვს. ხომ ვხედავთ, რომ კარგი დაფინანსების პირობებშიც კი არ გველევა პრობლემები. რატომ არ გვინდა, რომ ერთად დავსხდეთ და კარგად ჩამოვყალიბოთ ყველაფერი. მცხეთა სიიდან უკვე ერთი წელია ამოღებულია. იქ რამდენიმე სიაა. მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხას მოჰყვება დაზიანების საშიშროების ქვეშ მყოფი ძეგლების ნუსხა, რომლის შემდეგაც ძეგლს უკვე ნუსხიდან ამოღება ემუქრება. თბილისის შემთხვევაშიც დრო გვაქვს მოცემული საჭირო ღონისძიებების გასატარებლად. სტატუსი ნიშნავს დაფინანსებას, პრესტიჟს, დაკავშირებულია ტურიზმთან. რა გავაკეთეთ იმისთვის, რომ მცხეთისთვის აგვეშორებინა ნუსხიდან ამოღება? როგორც ვხედავთ, ძალიან ბევრი პრობლემა გვაქვს.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პოლიტიკა მძიმე მდგომარეობაშია. ის მეტისმეტად პოლიტიზებულია. როგორი კარგი პოლიტიკოსებიც არ უნდა იყვნენ, ისინი არ არიან კარგი არქიტექტორები და რესტავრატორები. ეს ეტაპი გავიარეთ ბათუმში. რაც ასლან აბაშიძის დროს ხდებოდა, ასჯერ მეტი ხდება ახლა. იმდენი შეცდომა გვაქვს დაშვებული, მათი გამეორება აღარ გვეპატიება. და კიდევ ერთი, 500 ძეგლის, თუნდაც ხუთ წელიწადში მეცნიერულ დონეზე რესტავრირება წამოუდგენელია. ამას იმიტომ ვამბობ, რომ სისწრაფე დღესაც პრობლემაა. და ბოლოს, ასე ჩამოვყალიბებდი პრობლემებს – პოლიტიზება, განათლების დეფიციტი და კანონის ოდიოზურობა.

გოგი გვახარია – მომხსენებლებისთვის შეკითხვების დასმამდე მეც მინდა ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ. სამწუხაროდ, მთელ ქართულ საზოგადოებას და ჩვენს მომხსენებლებსაც უნდა დავემდურო ერთ რამეში. დღეს აქ საუბარი იყო ძეგლების რესტავრაციასა და საკულტო არქიტექტურაზე, მაგრამ არავის უთქვამს გულწრფელად იმ მთავარ პრობლემაზე, რომელიც არის საკულტო არქიტექტურის რესტავრაციასთან დაკავშირებით, ვინ ქმნის პრობლემებსა და წინააღმდეგობებს.

ცოტა ხნის წინ დისკუსია მქონდა ერთ ძალიან პოპულარულ ჯგუფთან, შესაძლოა მისი წარმომადგენლები აქაც იმყოფებიან. ეს არის ჯგუფი, რომელიც უმნიშვნელო სადარბაზოს დანგრევაზე რეაგირებს და ყვირის, ნუ ანგრევენ მის თბილისს. როცა მათ ვკითხე, რატომ არ აპროტესტებენ იმას, რომ უფრო მნიშვნელოვანი, შუა საუკუნეების ძეგლები, ეს ეხება სომხურ და კათოლიკურ ძეგლებსაც, თავზე გვენგრევა და არავინ აქცევს ყურადღებას, გულწრფელად მიპასუხეს, რომ ეს მათ ჯგუფს პოპულარობას დაუკარგავს და საზოგადოებაში სახელს გაუტეხს. მართალი ვითხრათ, ამაში პირადად მე ფარისევლობას ვხედავ. ასევე მეჩვენება, რომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პოლიტიკაში, გარდა დასახელებული პრობლემებისა, პოლიტიკებისა და განათლების დეფიციტის შესახებ, ფარისევლობაც ბევრია. თუმცა, ამ თემაზე მსჯელობისას ქულების დაგროვება, ალბათ ასევე არის პოლიტიკა. ამიტომ ძალიან ვთხოვთ, დღეს ისე არ დავასრულოთ შეხვედრა, რომ ამ მართლაც მტკივნეულ თემას არ შევეხოთ.

ნესტანმა საერთაშორისო ორგანიზაციები ახსენა და თქვა, რომ შესაძლოა, მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხიდან ამოიღონ რამდენიმე ძეგლი. იქნებ ამაზეც ვისაუბროთ, ვინ და რატომ აკეთებს ამას. ამ თემაზე ღია დისკუსია ჯერ არ მომისმენია.

ნესტან თათარაშვილი – მოგახსენებთ საკულტო ძეგლებსა და საპატრიარქოსთან ურთიერთობაზე. სწორედ რამდენიმე დღის წინ მივწერე მათ. ნიკოლოზ ბარათაშვილი დასაფლავებულია ტირძნისის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიაში. იქ ასევე არის ქსნის ერისთავების საფლავებიც. ერთ-ერთი მათგანი არის გიორგი ერისთავის შვილი. ამ ეკლესიის მღვდელმა მეტლახის თურქული ფილებით მოაპირკეთა იატაკი. რა აღარ გავაკეთე, წერილიც მივწერე, დავურეკე კიდეც.

ნიკოლოზ ვაჩიშვილი – იმათ რატომ მიწერეთ, ჩვენთვის უნდა მოგეწერათ.

ნესტან თათარაშვილი – იმიტომ რომ ეკლესია მოქმედია და მათ საკუთრებაშია. იგივეს თქმა შეიძლება მოლნინზეც. სომხურ ეკლესიასთან დაკავშირებით შევხვდი მამა ბესარიონს, რომელიც საბჭოს წევრია, დიდი შანსი იყო, რომ შარშან ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით ამ ეკლესიის რესტავრაცია გაეკეთებინათ, მაგრამ თქვენ იცით, რომ ჩვენთან საეკლესიო და პოლიტიკური პრობლემები გადაჯაჭვულია.

აგიტ მირზოევი, არასამთავრობო ორგანიზაცია „მრავალეროვანი საქართველო“ – დიდი მადლობა ამ თემაზე დისკუსიის გამართვისთვის. ჩვენი ორგანიზაცია ნაკლებად პოპულარულ თემებზე მუშაობს, ისეთებზე, როგორც არის ეროვნული, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობებიც დაცვის საკითხები, მათი მონაწილეობა ქვეყნის მართვის პროცესებში, და ზოგადად, იმ პოლიტიკის შექმნაში, რომელზეც დღეს ჩვენ ვსაუბრობთ.

გეთანხმებით, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პოლიტიკა არსებობს საქართველოში, მაგრამ რამდენად ეფექტიანად ხორციელდება, ეს სხვა საკითხია. თქვენი ყურადღება მინდა გავამახვილო სომხური ეკლესიების საკითხზე. ჩვენ ერთი თვეა, რაც ამ თემაზე ვმუშაობთ. ჩვენი პროგრამა ითვალისწინებს მონიტორინგს და შემდგომ რეკომენდაციას, თუ რა პრინციპით არის შერჩეული ის ნაგებობები და ძეგლები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ეკუთვნის საქართველოში ტრადიციულად წარმოდგენილ რომელიმე ეთნიკურ ან რელიგიურ ჯგუფს. ეს საკითხი ერთ-ერთი სომხური ეკლესიის დანგრევის შემდეგ წამოიჭრა, ვიდრე ველოდებოდით, როდის გაირკვეოდა ამ ეკლესიის მესაკუთრის საკითხი.

ბ-ნო ნიკა, ეკლესიის თურქული ფილებით მოპირკეთებასთან დაკავშირებით, თქვენ ბრძანეთ, რომ თქვენთვის უნდა მოემართათ. ასეთ საკითხებში, ჩემი აზრით, უფრო ხისტები უნდა ვიყოთ. რა თქმა უნდა, ეს საკითხები სამართლებრივ გარღვევას ითხოვს, მაგრამ არ უნდა ველოდებოდეთ მეცნიერების დასკვნას. მანამდე არქიტექტურული და

აღდგენითი სამუშაოები მაინც უნდა ჩაუტარდეს ძველს. მათ უმრავლესობას მინიჭებული აქვს სააღრიცხვო ბარათი. სამწუხაროდ, ამის იქით საქმე არ წასულა, ბიუჯეტით არ არის ეს საკითხი გაწერილი. მიმდინარეობს მოლაპარაკება კულტურის სამინისტროსთან, უშუალოდ იმ სამსახურთან, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პოლიტიკაზე მუშაობს. ჩვენ დროულად ვიღებთ მათგან პასუხს. ამ ეტაპზე, მიღებული გადაწყვეტილებით, უნდა შეიქმნას სპეციალური კომისია, რომელშიც ჩვენი მოთხოვნით უნდა გაწევრიანდნენ სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების ე.წ. აქტიური მოქალაქეები, რათა დროულად მივაწოდოთ ინფორმაცია იმ სათვისტომოს, რომელსაც ისტორიულად ეკუთვნის ესა თუ ის ძეგლი.

თქვენი ყურადღება მიიწვივს მივაპყრო კიდევ ერთ საკითხს, კერძოდ, ერთ-ერთი სომხური ეკლესიის ტერიტორიას, რომელიც მაწანწალა ძაღლებისა და ნარკომანების თავშესაფარია. ეს ეკლესია სუბ-ნიშანის ქუჩაზე მდებარეობს.

ნესტან თათარაშვილი – თუ არ ვცდები, ამ ეკლესიის წარმომავლობაც სადავოა.

აგიტ მირზოევი – ვიდრე მივანიჭებდეთ სააღრიცხვო ბარათს, და მისი მინიჭების შემდეგაც, იქნებ ვიზუალური ინდიკატორები ყოფილიყო გამოფენილი, შემოგვეღობა ტერიტორია, რომ მოქალაქეებს შექმნოდათ წარმოდგენა იმის შესახებ, რომ ეს ძეგლი იმყოფება კონკრეტული სახელმწიფო ინსტიტუციის დაცვის ქვეშ. ეს ტერიტორია უმეტესწილად ნავით არის სავსე. მიმდინარეობს მოლაპარაკება ადგილობრივ გამგეობასთან, რათა თემის წარმომადგენლები ჩავრთოთ აქტიურად ძეგლის დაცვაში, თუნდაც ნავის გატანაში. ჩვენ გვესმის, რომ ასეთ საკითხებს მხოლოდ სახელმწიფო ინსტიტუტები ვერ მოაგვარებენ, ამიტომ საჭიროა სამოქალაქო მონაწილეობაც. ამისთვის საჭიროა საინფორმაციო კამპანია. ეს უნდა იყოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პოლიტიკის ერთ-ერთი კომპონენტი.

ჩვენი მონიტორინგის ჯგუფში გაერთიანდებიან აქტიური მოქალაქეები, სახალხო დამცველის ოფისის სპეციალური წარმომადგენელი ბექა მინდიაშვილი და რამდენიმე ცნობილი ჟურნალისტი. დამატებით ინფორმაციას შემდეგში კიდევ მოგაწვდით.

ნინო ბექიაშვილი, ჟურნალი „ლიბერალი“ – დაახლოებით სამი წლის წინ, ბ-ნი ნიკას მინისტრობის პერიოდში, საქართველოსა და თურქეთის კულტურის სამინისტროები ამზადებდნენ ერთობლივ პროექტს, რომლის შედეგადაც უნდა მომხდარიყო ქართული ძეგლების რესტავრაცია თურქეთში და რამდენიმე მეჩეთის რესტავრაცია საქართველოში. როგორც ვიცით, ეს პროექტი არ შედგა, ამბობენ, მეუფე დიმიტრის პროტესტის გამო. მაინტერესებს, შეესაბამება თუ არა ეს ინფორმაცია სიმართლეს.

მეორე შეკითხვა ატენის სიონს ეხება. იქ, როგორც ვიცით, მეტად სავალალო მდგომარეობაა. უცნობია, რა იწვევს ვარდისფერ სოკოს. მაინტერესებს ინფორმაცია იქ მიმდინარე მონასტრის მშენებლობის შესახებაც. ნანახი მაქვს ფოტოები, თუ როგორ თხრიდნენ ბულდოზერებით ტაძრის მიმდებარე ტერიტორიას. მაინტერესებს ასეთ საკითხებში რამდენად მნიშვნელოვანია საპატრიარქოში არსებული საბჭოს ხმა. საგულისხმოა, რომ ამ საბჭოს ხელმძღვანელობს სასულიერო პირი და არა პროფესიონალი რესტავრატორი ან ხელოვნებათმცოდნე.

მიხეილ სვანიძე, ანთროპოლოგი – საუბარი იყო კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პოლიტიკის დეპოლიტიზებაზე. მაინტერესებს რას ნიშნავს ეს და ეთანხმებით თუ არა მას.

დიანა მალლაკელიძე, კინომცოდნე – როგორც კინომცოდნეს უფრო მაინტერესებს კინოთეატრების, მათ შორის „აპოლოს“, ბედი საქართველოში. მაინტერესებს, ვის ეხება

ეს საკითხი. კინოთეატრი „აპოლო“ არა მარტო არქიტექტურისთვის, ზოგადად, ქართული კულტურისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ძეგლია და მიეკუთვნება ევროპული კინოქსელების ჯაჭვს, რომელიც მეოცე საუკუნის 10-იან წლებში შენდებოდა. რამდენადაც ვიცი, ახლა მას რესტავრირება უტარდება. თუ არის თქვენთვის ცნობილი, შეუნარჩუნდება თუ არა კინოთეატრს მისი ფუნქცია.

გოგი გვაზარია – ამაზე მეც მოგახსენებთ ორიოდ სიტყვას. ეს საკითხი, სამწუხაროდ, ეხებათ კინემატოგრაფისტებს, რომლებმაც ეს შენობა გააყიდინეს რეზო ჩხეიძეს და ამაზე ხმა არ ამოიღეს. და ახლა ჩვენ, მეც მათ შორის, პასუხს ვთხოვთ არქიტექტორებს. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, შენობის ახლანდელი მეპატრონე, რომელმაც მიმართა რესტავრირებას, ამბობს, რომ ეს აღარ იქნება კინოთეატრი. და მას ამისი თქმის უფლება აქვს, იმიტომ რომ ამ პირობით მიყიდეს. და ყველაფერი ისეა გაკეთებული, რამდენიც არ უნდა ვიჩივლოთ, ამ ამბავს აღარაფერი ეშველება.

ნესტან თათარაშვილი – მე როგორც ვიცი, კანონით, სახელმწიფოს აქვს უფლება თავიდან დაუდოს ხელშეკრულება მეპატრონეს და გაუწეროს პირობები.

თათია კობიძე – კულტურული ძეგლის სტატუსის მქონე შენობა იყიდება იმ პირობით, რომ მას შეუნარჩუნდეს მისი პირვანდელი ფუნქცია. ასე რომ, შესაბამისად, საზოგადოებას აქვს იმის უფლება, რომ მოითხოვოს კინოთეატრის აღდგენა.

გოგი გვაზარია – დარწმუნებული ხართ, რომ „აპოლოს“ აქვს კულტურული ძეგლის სტატუსი?

თათია კობიძე – დიახ, ჩვენ ასე გვიპასუხეს.

ფიქრია არდია – მიუხედავად საქართველოში არსებული ასეთი რთული ვითარებისა, მინდა შევეხო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს კონფლიქტურ რეგიონებში. აქვს თუ არა სახელმწიფოს რაიმე მექანიზმი მათ დასაცავად?

პაატა გაჩეჩილაძე – ბატონ ნიკას აზრი მაინტერესებს ქუთაისში ღიძების მემორიალთან დაკავშირებულ ცნობილ ამბავზე. ხომ არ ფლობთ ინფორმაციას, რას უპირებენ მსგავს ძეგლებს საქართველოში. ძალიან შეშფოთებულები არიან გურჯაანში, შიშობენ ასეთი რაღაც ჯარისკაცის მამის ძეგლზეც არ განმეორდეს.

თამარ სიხარულიძე, სტუდენტი – დავით გარეჯის მთავარი ტაძარი რატომ არის გამოლესილი?

თამარ ამაშუკელი, ხელოვნებათმცოდნე – მიგაჩნიათ თუ არა, რომ 2008 წლის ივნისში კანონში ცვლილება, კერძოდ, თბილისის გადაცემა მერიისთვის დიდი შეცდომა იყო და სწორედ ამას მოჰყვა ის პრობლემები, რაც დღეს თბილისში გვაქვს.

მიგაჩნიათ თუ არა დარღვევად თბილისში მიმდინარე პროცესები? თუ ასე ფიქრობთ, სააგენტო რატომ არ იღებს ხმას? ან იქნებ, თქვენ არ გეხებათ? ვის მივმართოთ ჩვენ? დღეს, ფაქტობრივად უგულავა წყვეტს რესტავრაციის საკითხებს. საზოგადოებამ შეიძლება არ იცოდეს და ვერ ხვდებოდეს, მაგრამ ცოტა უცნაურია, ამხელა სააგენტო არსებობდეს და აბსოლუტურად ჩამორთმეული გქონდეთ ხმა. გულგრილი ვერ დავრჩებით იმის მიმართ, რაც ხდება ერეკლეს, ან პურის მოედანზე. ეს შეიძლება ითქვას იმელის შენობაზეც. მახსოვს, როდესაც კულტურის მინისტრის მოადგილე ბრძანდებოდა, საბჭოს სხდომას ვესწრებოდათ და მაშინ საბჭოს ყველა წევრი

სასტიკად ეწინააღმდეგებოდა იმელისთვის სტატუსის მოხსნას. დღეს საბჭომ რატომღაც გადაწყვიტა და მინისტრმაც დაამტკიცა, რომ იმელს მოეხსნას სტატუსი.

ნუგზარ ბარდაველიძე – 90-იანი წლების ბოლოს დაიწყო აბანოთუბანში დიდი სასტუმრო კომპლექსის მშენებლობა. მაშინ ძალიან ბევრი იწერებოდა ამ თემაზე. ამბობდნენ, რომ ზედა ორ სართულს მოახსენებდნენ.

თამარ ამაშუკელი, ხელოვნებათმცოდნე – სართულნახევარი მართლაც მოხსნეს.

ნუგზარ ბარდაველიძე – ე.ი. შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ეს საქმე გამოსწორებულია. ავლაბარში, შეგახსენებთ, 1989 წლის 11 აპრილს ჩამოინგრა ერთი სომხური ეკლესია. მაშინ კომენდანტის საათი იყო. მას შემდეგ 21 წელი გავიდა და არაფერი შეცვლილა.

და მესამე საკითხი – მახსოვს, მეტეხის ხიდთან, სიონიდან მეტეხის ხიდაძე თითქოს „თბილისური ფლორენციის“ აშენებას აპირებდნენ. რა იცით ამის შესახებ?

მანანა თევზაძე – მაღლობას მოგახსენებთ ამ თემაზე დისკუსიის გამართვისთვის. არ ვართ განებივრებულები ამ თემაზე დისკუსიებით. თუმცა დღეს აქ წამოჭრილ საკითხებს ერთი საღამო არ ეყოფა, ვიმედოვნებ, რომ სხვადასხვა ორგანიზაციებში, თუნდაც სააგენტოში გაგრძელდება ასეთი დისკუსიები.

ვეთანხმები ქ-ნი ნესტანის მიერ ჩამოთვლილ პრობლემებს. ჩემი აზრით, მთავარ პრობლემას სისტემის გაუმართაობა წარმოადგენს. ძველთა დაცვის სისტემა დღეს დაქსაქსულია. გვაქვს სააგენტოც, ინსტიტუტიც, მაგრამ მთლიანობაში ისინი ეფექტურად ვერ მუშაობენ. ვფიქრობ, ფუნქციები და როლები კარგად არ არის გადანაწილებული. გარდა ამისა, კანონში წერია, რომ სამინისტრო და სააგენტო უზრუნველყოფს ძეგლების დაცვას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. არადა, რეგიონული თვითმმართველობის კანონიდან ამოღებულია ის, რომ რეგიონებში იყოს კულტურის სამინისტროს ერთი წარმომადგენელი. არის მუზეუმ-ნაკრძალები, სხვადასხვა მსხვილი ორგანიზაციები, მაგრამ მაინტერესებს, როგორ არის უზრუნველყოფილი რეგიონებში ძეგლების ყოველდღიური მოვლა-პატრონობა, იქნება ეს საკულტო თუ ურბანული ძეგლები.

ასევე მაინტერესებს ხალხური არქიტექტურის ბედი. ჩვენ ძირითადად საკულტო ძეგლებზე ვსაუბრობთ. არის ხალხური საცხოვრებლები, ჯერ კიდევ შემორჩენილი. ეთნოგრაფიულ მუზეუმში ვმუშაობდი იქ დაცული დარბაზული სახლების რესტავრაციის პროექტზე, ამიტომ შემდეგ მოგვიწია რეგიონებში მათი ნახვა. დასავლეთში ჯერ კიდევ ბევრი დარბაზული სახლია შემორჩენილი. მაგრამ არც ერთს არა აქვს სტატუსი.

ნიკოლოზ ვაჩიშვილი – სამცხე-ჯავახეთში ნახეთ დარბაზული სახლები? სად იყო?

მანანა თევზაძე – არის ვალეში, არალში, უღეში, საროსა და ხიზაბავრაში, აფნიაში. ჩამოთვლა შეიძლება.

კიდევ ერთმა ძალიან დიდმა პრობლემამ იჩინა თავი – საზოგადოების გაუთვისებლობა. ეს კარგად გამოჩნდა ბოლო დროს მიმდინარე რესტავრაციის პროექტებისას, როგორც სიღნაღში, ისე მცხეთასა და თბილისში. კულტურული მემკვიდრეობის ღირებულებების აღქმა ნოლს უტოლდება საზოგადოებაში. დადებითად აღიქმება ძველ ნაგებობაზე ახალი სახურავი, და ა.შ. ჩვენი ჟურნალისტები მოღნიის ეკლესიის ჩამონგრევის დროს მხოლოდ იმის გაშუქებით შეიფარგლნენ, რომ იქვე მანქანა დაზიანდა. ეს ხომ ვილაცის იდენტობის განმსაზღვრელი ძეგლი იყო, შეეძლოთ ვინმესთვის

ეკითხათ. ამიტომ, ვფიქრობ, რომ სამოქალაქო საზოგადოებამ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით კიდევ უფრო აქტიურად უნდა იმუშაოს.

აკაკი ველთაური – როდესაც ამბობთ, რომ პოლიტიზებულია კულტურის დარგი, და ეს არის მთავარი პრობლემა, მიჩნდება კითხვა. ვარკეთილში ვცხოვრობ, სახელმწიფო იქ მშვენიერი ბაღი გააკეთა, მაგრამ ხალხმა რამდენიმე დღეში მოსპო. სად არის აქ ლოგიკა, რა პოლიტიკაზეა საუბარი?

თათია კობიძე – მაინტერესებს, აქვს თუ არა სხვა მსგავს ორგანიზაციებს და დაწესებულებებს რაიმე ზემოქმედების საშუალება, იმიტომ რომ მერიის საბჭოზე რა ხდება, ვერავინ გაიგო. ერთი თვის განმავლობაში ვცდილობდით დავსწრებოდი ამ საბჭოს სხდომებს. მერიაში გვეუბნებოდნენ, ამის თაობაზე ინტერნეტით მიგვეწერა წერილი. მერე აღმოჩნდა, რომ არ მისდით გაგზავნილი წერილები. ასევე გვეუბნებიან, რომ იმდენი მსურველია, რომ ახლა ვერ დაგვასწრებენ სხდომებს. სხვადასხვა პრობლემა სახელდება. მაინტერესებს, თუ არის კიდევ რომელიმე ორგანიზაცია მერიის გარდა, ვისაც შეუძლია ამ პრობლემების მოგვარება.

თამარ ამაშუკელი, ხელოვნებათმცოდნე – არასამთავრობო ორგანიზაციამ, „ტფილისის ჰამქარი“, ასევე მიმართა მერიის ამ საბჭოს, რომელიც წესით ღია და საჯარო უნდა იყოს. ის, რომ საჯარო სხდომები იმართება შენობაში, სადაც საშუალო სისტემაა, ეს უკვე დარღვევაა. მაგრამ მივიღეთ კომიკური პასუხი. გვითხრეს, რომ ოთახის სიმცირის გამო არ მოხერხდებოდა ჩვენი დასწრება.

– მაინტერესებს რა ხდება შატლის კოშკების დასაცავად. ზრუნავს ვინმე მათ გამაგრებაზე?

გოგი გვაზარია – ძალიან კონკრეტული კითხვები ისმება. ალბათ ჯერ ქ-ნი ნესტანი ვიაპუნებთ ვარკეთილის პარკთან დაკავშირებით.

ნესტან თათარაშვილი – ის, რაც ვარკეთილის პარკთან დაკავშირებით ბრძანეთ, დაბალი სამოქალაქო კულტურის შედეგია. ამას სჭირდება დრო და წესრიგი. ასეთ პარკებს უნდა მიუჩინონ ერთი პოლიციელი, რომელიც დაიცავს მათ.

ასევე დაისვა შეკითხვა, რაში გამოიხატება ამ საკითხების პოლიტიზება. დარგს უნდა წარმართავდნენ პროფესიონალები და არა პოლიტიკოსები.

გოგი გვაზარია – აქ საუბარია საზოგადოებისადმი ნდობაზე. ჩვენი მომდევნო დისკუსიის თემა სწორედ ეს იქნება, ენდობა თუ არა საზოგადოება ხელისუფლებას და პირიქით. როგორც ჩანს, ეს სერიოზული პრობლემაა და ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროზე აისახება. არის უნდობლობა ხელისუფლებისა საზოგადოების მიმართ. არის მართვის არა ჰორიზონტული, არამედ ვერტიკალური სტილი. იმიტომ რომ არის ჯგუფი, რომელიც ფიქრობს, რომ დაუძახონ საზოგადოების წარმომადგენლებს, დებატები ძალიან ღიდხანს გაგრძელდება და ქვეყანაში არაფერი არ აშენდება. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პოლიტიკაში, ისევე როგორც ცხოვრების ყველა სხვა სფეროში, უნდობლობის პრობლემას ვხედავ. ადამიანები შესაძლოა, ამ უნდობლობას იმსახურებენ, მაგრამ ეს უნდობლობა მაინც გადაჭარბებულია.

ნათია მურაჩაშვილი – მაინტერესებს, რამდენად ეთიკურია, ადამიანის აქ არ ყოფნის შემთხვევაში მისი სახელის და გვარის ამდენჯერ ხსენება, მით უმეტეს დადანაშაულება. თბილისის პატარა ქალაქია და დიდ სამეგობრო კავშირებს გულისხმობს.

ამ ადამიანზე ვერ იტყვით, რომ ის არაპროფესიონალია. მას პირადად არ ვიცნობ, მაგრამ ვიცნობ მის რამდენიმე პროექტს. რატომ უნდა ვისაუბროთ დღეს დავით ნინიძეზე ამდენი, როდესაც ის აქ არ იმყოფება. ფონდს შეეძლო მისი მოწვევა.

გოგი გვაზარია – საქმე ის არის, რომ არც ბატონი დავით ნინიძე, არც მერიის სხვა წარმომადგენლები არ მოდიან ამ დებატებზე. დემონიზაცია გადაჭარბებულია, მაგრამ იმის გამო, რომ არ მოდიან, არ ნიშნავს იმას, რომ არ ვახსენოთ ამ დებატებზე.

ნესტან თათარაშვილი – დიდხანს არ ვახსენებდი, მაგრამ როცა ძალიან სერიოზული რაღაცები გაფუჭდა, უკვე აღარ შეიძლება რომ არ ვახსენოთ.

ნიკოლოზ ვაჩიშვილი – გაკეთებულთან რომ ავწონოთ?

ნესტან თათარაშვილი – კი ბატონო, ავწონოთ. მაგრამ როდის დადგება ეგ დრო. მე არ მინახავს პროფესიული კრიტიკა. ნიკა, თქვენ თავიდანვე მუშაობდით ამ ადამიანთან ერთად. ახლა საკუთარ თავზე ვიღებ დარტყმებს იმისთვის, რომ თქვენ გამოვიყვანოთ იმ ნიშიდან, სადაც აღმოჩნდით. ჩემზე უკეთ არ იცით, რაც დაგემართათ? ეს იმის ბრალია, რომ უპრინციპობები აღმოჩნდით. გარემოს დალაგებას რომ იწყებენ პოლიტიკოსები, აქ უკვე ლაპარაკი ზედმეტია, არც გარემოს ეშვებება და არც კულტურულ მემკვიდრეობას. რაც შეეხება ეთიკურობას. როგორ გავაკრიტიკოთ? თქვენ ფიქრობთ, რომ შემხვდება ნინიძე? მასთან შეხვედრა მხოლოდ „ჰამქარმა“ უზრუნველყო.

გოგი გვაზარია – რამდენჯერმე დავუკავშირდით მერიის წარმომადგენლებს, გვაპირდებიან, რომ მიიღებენ დისკუსიაში მონაწილეობას, მაგრამ შემდეგ აღარ მოდიან. თუმცა ვიმეორებ, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამ საკითხებზე აღარ ვიმსჯელოთ. ამიტომ კიდევ ერთხელ ვუხდით ნიკას მოსვლისთვის მადლობას. ახლა ალბათ უკვე ნიკა უპასუხებს დასმულ შეკითხვებს.

ნიკოლოზ ვაჩიშვილი – საბჭოთა პერიოდის ძეგლთა დაცვასთან შედარება და მაშინდელ პრობლემებში ჩახედულობა და ახლანდელში ჩაუხედაობა მე მგონი, მდგომარეობიდან ვერ გამოვიყვანს. დღეს ვინც კი მუშაობს სიძველეთა დაცვაზე, საამაყოა, რომ ყველა პროფესიონალი არქიტექტორ-რესტავრატორია. ის მოდელი, რომ რესტავრატორი პროექტს ქალაქზე აკეთებდა, შემდეგ მას წარმოებას გადასცემდა და თვითონ ვერ ან არ ჩადიოდა ძეგლზე, დიდი ხანია, დამთავრდა. ამიტომ, დანგრევაც, ცუდი ხარისხის დანამატებისა, ჩვეულებრივი რამ არის, თუ ეს ხდება გამონაკლის შემთხვევებში, მთავარია, ძეგლი მივიღეს ბოლო კონდიციამდე და მიაღწიოს ისეთ ხარისხს, როგორც ეკადრება ამა თუ იმ სიძველეს. სოსო ბანძელაძის ნაკურალეში ჩატარებული რესტავრაცია იქნება თუ მიშა გელაშვილის ნეკრესი, გრემი, ვანო გრემელაშვილის ბაგრატის ტაძარი, გურამ ჭეიშვილის გელათის მხატვრობა – ეს გვარები შეიძლება ბევრ თქვენგანს არაფერს ეუბნება, მაგრამ სპეციალისტებმა იციან, რომ ეს ადამიანები წარმართავენ „პირველ ვიოლინოს“ სარესტავრაციო პროცესში.

რაც შეეხება ინსტიტუციურ მოწყობას, მას შემდეგ რაც სამინისტროში ამ თემაზე დიდი მუშაობა ჩატარდა, ოპტიმალური გახდა. დუბლირებული ფუნქციები გაქრა. ჩატარდა სამუზეუმო რეფორმა, ძეგლთა დაცვის რეფორმა, და მის ნიადაგზე სააგენტო შეიქმნა. ჩუბინაშვილის სახელობის ინსტიტუტთან მიმართებაში შესაძლო იყო, უფრო რადიკალური ვყოფილიყავით, მაგრამ დავუტოვეთ მას თეორიული ნაწილიც და ის მხოლოდ ძეგლთა დაცვის პრობლემატიკას არ დავუკავშირეთ. თუმცა ამან ორივე მხარე დააზარალა, როგორც ძეგლთა დაცვა, იმიტომ რომ გამოკლდა პროფესიონალების

რესურსი და თვითონ ინსტიტუტი, რომელსაც საკვლევი ობიექტები უფრო გაუბუნდოვანდა და თეორიულ ასპარეზზე დარჩა. მაგრამ ეს პრობლემაც მოგვარდება.

ამ თემას შეიძლება დავუკავშიროთ ქ-ნ მანანას კითხვა, როგორ უვლის კანონით სახელმწიფო ძეგლებს. ძალიან რთული მექანიზმია. ჩვენი სამინისტროში მისვლის მერე ეს იყო მთავარი პრობლემა, რომ თბილისიდან იმ უამრავი ძეგლის პატრონობა, რაც არის საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ძალიან ძნელია. ამიტომ გაძლიერდა მუზეუმ-ნაკრძალები. მათ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე დანაწილებული აქვთ სამოქმედო არეალები და ეკუთვნით როგორც მონიტორინგი, ისე სამომავლო გეგმის, ვთქვათ, სატიტულო საგარაულო სიების შედგენა. ასევე წამოვიწყეთ პროგრამა განათლების სამინისტროსთან ერთად და ის უფრო ეფექტური უნდა გახდეს, როდესაც სკოლები ერთვებიან მონიტორინგის პროცესში და მაცხოვრებლები მათთვის ღირებული სიძველეების აღრიცხვით არიან დაკავებული, და იქმნება სხვადასხვა პროფილის რეესტრი. ამაში ჩართული უნდა იყოს საინიციატივო ჯგუფები, არასამთავრობო ორგანიზაციები. როცა მიდიხარ თრიალეთში, ჯავახეთში, ჩვენს მიერ დადგენილი წესით აკეთებ პასპორტიზაციას, ინსტრუქტაჟი გამოცემულია, როგორ უნდა აღწერო ძეგლი, ნებისმიერი არაპროფესიონალისთვისაც რომ მარტივი იყოს, როგორ უნდა გადაიღო, როგორ უნდა შეავსო, როგორ უნდა წარუდგინო შესაბამის ორგანიზაციას, რომ მას მიენიჭოს უნიკოდი და არ მოხდეს სიების დუბლირება, როგორც ხდებოდა საბჭოთა პერიოდში. თბილისშიც, ხშირად იმიტომ გვაქვს პრობლემები, რომ ძეგლთა დაცვის სამინისტრომ თავის დროზე ვერ მოახერხა ბევრი შენობისთვის სტატუსის მინიჭება.

როდესაც 500-მდე ძეგლზე ვსაუბრობთ, აქ იგულისხმება რესტავრაციის ფართო სპექტრი. არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ყველა მათგანი რაჭის 1991 წელს დანგრეული ძეგლების დარია, რომლებსაც სჭირდება ხუთთაობიანი და მთელი ინტელექტუალური და თანხობრივი რესურსი, რომ როგორმე აღადგინო. ასეთი რესურსი სჭირდება მრავალძალის, რაჭაში კვირიკეწმინდის აღდგენას. ამ რიცხვში შედის მაგალითად, ჩუმლაყის ეკლესია, რომელსაც სჭირდება კარნიზი და ეს სამოქალაქო პასუხისმგებლობა კვირაში შეიძლება გაკეთდეს. მაგრამ ამ კარნიზის და გადახურვის გაკეთებას 40-60 წლით უხანგრძლივებს სიცოცხლეს. არ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს გაბერილი ციფრებია. რომ დათბება და გავა ხალხი სამუშაოდ, ძალიან გვიან დაბრუნდება. საინფორმაციო უზრუნველყოფას უკავშირდება და ვისურვებდი, რომ ეს ინიციატივა მხარდაჭერილი იყოს.

საინფორმაციო უზრუნველყოფა, გეთანხმებით, არ არის საკმარისი. თუმცა, ეთერში ხშირად გადაიცემა ამის შესახებ. ალბათ მაინც უნდა გამოიძებნოს სხვა ფორმატიც. შემიძლია გაჩვენოთ ეს წიგნები. სამწუხაროდ, ძნელია საზოგადოების ყველა წევრამდე ასეთი გამოცემების მიტანა. ჩვენ გავაკეთეთ რამდენიმე პილოტ-პროექტი. მოძრავ ძეგლებს რაც შეეხება, პირველად შეიკრიბა და გამოიცა პეტრე ოცხელის ძალიან კარგი ალბომი. ამ წიგნებს თქვენი ფონდის ბიბლიოთეკას ვაჩუქებ. აქვეა ელენე ახვლედიანის კერძო კოლექციებში შემონახული ნახატების ალბომი. არც ერთ თქვენგანს ეს ნამუშევრები არ გინახავთ, და ოშკის ალბომი. ეს წიგნები ჯერჯერობით დიდი ტირაჟით არ გამოგვიცია, იმიტომ რომ ძალიან ძვირი ჯდება. ჩემთვის ძალიან საამაყოა ეს პატარა ბროშურა, რომელსაც ჰქვია „ძეგლთა რეაბილიტაცია“. ქ-ნო ნესტან, მინდა ნახოთ მისი ხარისხი. ეს გამოცემაც ღიაა კრიტიკისთვის. აქ ნაჩვენებია, რა მდგომარეობაში იყო ძეგლი და ახლა როგორ გამოიყურება. აქ უკვე რესტავრირებული ძეგლების მხოლოდ ნაწილია წარმოდგენილი.

რაც შეეხება ატენის სიონს. სამწუხაროდ, ქართული სარესტავრაციო სკოლის გამოცდილება არ ეყო იმ პრობლემატიკის დაძლევას, რაც სჭირს ატენის სიონს. მოძიებული ფულით კვლევა უტარდებოდა ფრესკას, მერე აღმოჩნდებოდა ბზარი, სამუშაოები გადაინაცვლებდა ამ ბზარის შესასწავლად, შემდეგ აღმოჩნდებოდა კონსტრუქციული პრობლემა და ა.შ. ერთიანი განზოგადებული სურათის შექმნა დახარჯული ფულის მიუხედავად, ამ ძეგლზე ვერ მოხერხდა. ამიტომ ფონს გერმანელმა

კოლეგებმა გაგვიყვანეს და წელს დაიდება ატენის სიონის პრობლემების განზოგადებული სურათი. თუმცა რაც ამ წლების განმავლობაში გაკეთდა, ისიც აუცილებლად გასაკეთებელი იყო და იმედი მაქვს, რომ ეს პრობლემა მოგვარდება. კულტურულ მემკვიდრეობას აქვს ასეთი თვისება, როდესაც რაღაცის კეთება იწყება, ყველას ეშინია, მერე კი კმაყოფილები რჩებიან ხოლმე. იგივე შეიძლება ითქვას ატენის სიონის მონასტრის მშენებლობაზეც. ვიდრე მშენებლობას დაიწყებდნენ, ჯერ შეისწავლეს, შეიძლებოდა თუ არა ამის გაკეთება. როცა დადასტურდა, რომ იქ ნამონასტრალი იყო, თავსებადობის პრობლემა მოიხსნა. იმისათვის რომ გაგვეგო, როგორ აგვეშენებინა, გაითხარა მიწა. მე არ მეშინია, რომ იქ ისეთი რამ გაკეთდება, რაც ატენის სიონს ხელს შეუშლის.

ნინო ბექაშვილი – მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ელექტროგაყვანილობა ფრესკებზე გარედან იყო დამონტაჟებული. ამის გამკეთებელი არ უნდა დასჯილიყო? სამწუხაროდ, ასეთი ბევრი ფაქტია.

ნიკოლოზ ვაჩიშვილი – გეთანხმებით, ეს 1997 თუ 1999 წელს რომელიღაც მღვდელმა თავისი ინიციატივით გააკეთა და დასასჯელიც იყო.

რაც შეეხება საპატრიარქოსთან ურთიერთობას და საბჭოს. ეს მართლაც კარგი ორგანოა. ნესტანის ბევრი ახლობელი არქიტექტორ-რესტავრატორია ამ საბჭოს წევრი. ამ საბჭოდან გამოდის დასკვნა როგორც მესაკუთრისა, როდესაც იგეგმება რაიმე სამუშაო, კვალიფიციურად გაფილტრული. ეს დასკვნა ჩვენ გვიოლებს მუშაობას, რომ მერე საერო კომისიით შევაფასოთ და მივიყვანოთ საქმე ბოლომდე.

გოგი გვახარია – გერმანელი სპეციალისტები ახსენეთ. როგორც ჩემთვის ცნობილია, უცხოელი სპეციალისტების ჩამოყვანასთან დაკავშირებითაც იყო პრობლემები სასულიერო პირების მხრიდან იმ მიზეზით, რომ ისინი არ არიან მართლმადიდებლები. როგორც ვიცი, ეს ტრადიცია გრძელდება.

ნიკოლოზ ვაჩიშვილი – ამ პრობლემატიკაში ჩახედული არ ვარ. ჩვენს ძეგლთა დაცვის სფეროში იუნესკოს ექსპერტები დღესაც მუშაობენ სვეტიცხოველში. პირველად იზომება სვეტიცხოველი. 40-იან წლებში გაიზომა, მაგრამ თბილისის ომის დროს დაიწვა. ბრიტანელი ექსპერტი აღფრთოვანებული იყო იმ კომუნიკაციით, რაც დახვდა სვეტიცხოველში. თვითონაც ამბობდა, რომ ეს საყოველთაო პრობლემაა და ის ბრიტანეთშიც არსებობს. ნუ ვიტყვით, რომ მარტო ჩვენთან ხდება. არ მახსენდება შემთხვევა, რომ ძეგლთა დაცვისთვის საპატრიარქოს სადმე ხელი შეეშალა, პირიქით. ეს ძალიან ბუნებრივი და ჯანსაღი მიდგომაა. იმიტომ რომ სამონასტრო საჭიროება, ინფრასტრუქტურული საჭიროება თუ არ არის გათვალისწინებული, ნებისმიერი კარგი ჩანაფიქრი ჩიხში შევა. რაც არ უნდა თქვა, რომ რაღაც არ შეიძლება, თუ საჭიროება მოითხოვს, ისე უნდა გაკეთდეს, რომ ეს ერთიანი, გუნდური გადაწყვეტილების შედეგი იყოს. ეს მოითხოვს დიდ ჯაფას და ენერჯიას, მაგრამ ეს არის ერთადერთი გზა. მჭიდრო თანამშრომლობაზე ეფექტური გზა მე არ მეგულება.

ტაო-კლარჯეთის ძეგლებთან დაკავშირებით იყო ძალიან დინამიკური შეთანხმება, რომ გაცვლითი პროგრამა გაკეთდებოდა. მიმაჩნია, რომ ეს კარგი მოდელია სხვადასხვა ქვეყნებს შორის ურთიერთგაცვლითი კულტურული პროგრამებისა, მაგრამ შეიქმნა შიში, არა მარტო საეკლესიო პირებში, რომ ერთ-ერთი მეჩეთი, რომელიც აჭარის თურქთაგან ალების ერთ-ერთი სიმბოლოა, რაღაც საშიშროებას შეიცავს და ამ დოკუმენტის ხელმოწერა გადაიდო. თუმცა გამოსავალი იძიება.

სომხურ ტაძრებს კი იმიტომ არ ვუკეთებთ რესტავრაციას, რომ ჯერ ერთი, ძალიან ძვირია, არა ჰყავს იდენტიფიცირებული მომვლელი და მრევლი. თუ ამ

ყველაფერს გადავლახავთ და სახელმწიფო ჩადებს ფულს, აუცილებლად უნდა მოითხოვოს საპირფონოდ სომხეთში არსებული ქართული ძეგლების რეაბილიტაცია. ანალოგიური პრობლემები ჩნდება იქაც. ასე რომ, მარტო ქართულ მხარეს ნუ ავკიდებთ სიმძიმეს. საპატრიარქოსთან ამ თემაზე გვაქვს დიალოგი, რომ ჩვენი თანხები ურთიერთშეთანხმების საფუძველზე დაიხარჯოს არა აქ, არამედ იქ, მათი თანხები კი, შესაბამისად – აქ. ჩემი აზრით, ეს იქნება იდეალური გამოსავალი, რომელსაც სჭირდება შრომა. იმიტომ რომ მეცნიერებშიც არ არის ერთგვაროვანი დამოკიდებულება. მხოლოდ საპატრიარქო არ ამბობს უარს ამ საკითხებზე. მოიძებნებიან მეცნიერები, რომლებიც ამბობენ, რომ ნორაშენის ეკლესიის ძირის რამდენიმე ქვა არის ქართული, თუმცა იქ ამის დამადასტურებელი არც ერთი წარწერა შეიძლება არც არსებობდეს, ზოგადად ვამბობ, და ამიტომ ზემოთ რაც არის დაშენებული, უკანონოდ არის აშენებული. ეს ძალიან რთული პრობლემაა.

მეუფე დავითზეც მინდა გითხრა, ის არ არის ვინმე მღვდელი, როგორც აქ ითქვა, არამედ ძეგლთა დაცვის ყოფილი თანამშრომელია და ღრმად არის ჩახედული ძეგლთა დაცვის საკითხებში. საბჭოს თავმჯდომარეა პატრიარქი, მისი მოადგილეა მეუფე დავითი.

კონფლიქტის ზონებში კი არაფერი ხდება. ოსეთის რეგიონში ბევრი რამ გავაკეთეთ. ეს ამ წიგნშიც არის ასახული. სადამდეც მიგვიწვდება ხელი, მაგალითად, ნიქოზში ახლაც მიმდინარეობს სამუშაოები. დანარჩენზე ვერაფერს გეტყვით, იმიტომ რომ არ ვიცი, რა ხდება, ისევე როგორც აფხაზეთში. ერთადერთი საშიშროება რაც არის, ოსეთში ტოპონიმების გამოცვლა შეიძლება მივიდეს ამ ძეგლების სახეცვლამდე.

დავით გარეჯთან დაკავშირებით შეგიძლიათ მშვიდად იყოთ. იქ ჩამოიხსნა ცემენტით გალესილი, ახლა კირით არის ძალიან კარგად გალესილი. წვიმისგან ჩამონგრეული კედელი ახლა თავიდან კეთდება კირით, ისე, რომ აღარ ჩამოიხრეს.

ახლა რაც შეეხება თბილისისთვის ძეგლების გადაცემას. ეს, ჩემი აზრით, ძალიან კარგია და გეტყვით, რატომ. დეცენტრალიზაცია არის საქართველოს გადარჩენის ერთ-ერთი გზა. ეს ძალიან კარგი მოდელია სხვა ქალაქებისთვისაც, სამწუხაროდ, არ არის ამდენი კვალიფიციური კადრი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი მაინც იმას გააკეთებენ, რასაც გეგმავენ, ამას ვერ გააკონტროლებ, კანონი ფორმალური იქნება. ვისიც არის, იმან უნდა იცოდეს, როგორ გააკეთოს, ამაში საჭირო იქნება ცენტრის დახმარება. ძალიან სწორედ გავაკეთეთ, როდესაც გავანაწილეთ პარიტეტული საწყისებით სამინისტროს, ცენტრალური ხელისუფლების და მუნიციპალური კომისია. იქ თუ დაირღვა პარიტეტი, მიმდინარე პროცესებს უკვე მე აღარ ვკურირებ და ვერაფერს გეტყვით.

კანონი ისე უნდა მოიხმარო, რომ საქმეს არგო. სტატუსების მსგავსად განვიხილავდი მანსარდების დაშენებას, რასაც ყველა ხელოვნებათმცოდნე ეწინააღმდეგებოდა. მე ვამბობდი, რომ მანსარდების დაშენების ნებართვა უნდა გავგეცა, იმიტომ რომ ეს არის სტიმული ამ სახლების გამოყენებისთვის. ეს არის საბოლოოდ იმ ძეგლის დაცვა, როდესაც მფლობელი იღებს სარგებელს ძეგლისგან. თორემ, ხელოვნებათმცოდნეობა, როგორც ყოფისგან ამოგლეჯილი ტკბობა წონასწორი ფასადების, შეიძლება იყოს ამ წონასწორი ფასადების უმთავრესი დამლუპველი. ამიტომ სტატუსის მოხსნა კარგი პროექტისთვის, გამონაკლის შემთხვევებში იყო იმის სტიმული, რომ შემოსულიყო ბევრი მილიონი. მკვდარ იმელის შენობაში არავინ შევიდოდა.

საინტერესო კითხვა ჰქონდა ქ-ნ მანანა თევზაძეს, რა ეშველება ამდენ ხალხურ ძეგლს. გეთანხმებით, ეს საყოველთაო პრობლემაა. ვარკეთილის ბაღის არ იყოს, ცოტა თვითონაც უნდა უშველონ მფლობელებმა. ერთადერთი, რაც გვქონდა დაგეგმილი, მერე ფინანსური კრიზისის გამო ცოტა შენედა ეს პროცესი, რომ ყველა სხვა სესხთან ერთად გაცემულიყო ხანგრძლივი და დაბალპროცენტიანი სესხები ძეგლებისა და სასტუმროების მეპატრონეებისთვის, რომ მათ შეეძლებოდათ ასეთი სახლების მოხმარება თავიანთ საკეთილდღეოდ. ვიმედოვნებ, რომ ეს მოდელი ამუშავდება.

გოგი გვახარია – გამოდის, რომ თბილისი საერთოდ არ გეკუთვნით და „აპოლოზე“ ვერაფერს იტყვით?

ნიკოლოზ ვაჩიშვილი – მე მომხრე ვარ, რომ საკითხები არ იყოს განხილული მხოლოდ ვიწრო წრეში, ესეც აუცილებელია, მაგრამ ამან არ უნდა გადაწონოს ის მოდელი, რომელზე 2000 წლიდან ვლაპარაკობდით. არ შეიძლება ერთ კვადრატულ მეტრზე შვიდი კაცი ცხოვრობდეს. არ შეიძლება ერთ სახლში სამის ნაცვლად ოცი ოჯახი ცხოვრობდეს. არ შეიძლება ასეთი შემოუსავლიანი ოჯახების ანაბარა იყოს ეს ყველაფერი, და არც ის შეიძლება, ყველა ამ ადამიანის ნაცვლად აკეთო რემონტი. ამიტომ ურბანისტებთან ერთად ვცდილობდით განსახლების პოლიტიკის რაღაც რეცეპტის მოფიქრებას, რომელიც ახლა მოქმედებს. ადამიანს ძალით კი არ ასახლებენ, თავისი ნებით მიდის მშვენიერი ინფრასტრუქტურით მოწყობილ ახალ უბნებში. ეს არის „ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე“. ამგვარი ბალანსის გარეშე სახელმწიფო ბიუჯეტი ამ უნიკალურ, მაგრამ უმძიმეს საბინაო ფონდს ვერ მოუვლის. არ ვიცი, იღებენ თუ არა ჩუქურთმებიდან ნიმუშებს, რომ ისეთივე გააკეთონ, მაგრამ უნდა გააკეთონ. ნამყოფი ვარ თბილისის ძველი უბნების ყველა სარდაფში, ბინაში და სახურავზე, იმიტომ რომ აგველწერა მიძისძვრის შემდეგ ცხელი მდგომარეობა. უზარმაზარი ბზარებია, დაქანებული იატაკები, უმძიმესი მდგომარეობაა. ის, რომ ეს სახლები მაგრდება, ჯდება მყარ საძირკველზე, ძალიან მნიშვნელოვანია. აქ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც ბრძანდებით, შეგიძლიათ შეამოწმოთ, როგორ კეთდება ეს ყველაფერი, ოღონდ ობიექტურები უნდა იყოს. დიდი მადლობა ყურადღებისთვის.

ნესტან თათარაშვილი – სომხურ ტაძარ მოლნინზე შემიძლია ინფორმაციის მოწოდება. იყო დაინტერესება, შუამავალი ადამიანი, ევროპელი და საუბარი იყო ევროკავშირის დაფინანსებით ამ ეკლესიის რესტავრაციაზე. შევხვდით მამა ბესარიონს და მერიის ხელმძღვანელ ჩინოვნიკ ფირცხალავას. გამოიკვეთა, რომ ძველი არ არის არავის ბალანსზე, გასარკვევია მისი მფლობელის ვინაობა, მაგრამ ასეთ დროს ნორმალურ ქვეყანაში ნორმალური მუნიციპალიტეტი იტყოდა, მოდი, ეკლესიამ და მეცნიერებმა იმსჯელონ, გადაწყვიტონ ეს საკითხი, მაგრამ რადგან ძველი ინგრევა, გაემაგრებინა და გაეკეთებინა, მის მიმდებარე ტერიტორიაზე მოსახლეობა ბეწვზეა გადარჩენილი. ძალიან კარგი პროპორციების ტაძარია და თუ აღადგენენ, იმ უბნისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იქნება. ასეთი დამოკიდებულებაა, ყველა სხვისკენ იშვერს ხელს. მაგრამ, ფაქტია, რომ პრობლემები არის და მერე ძალიან ცუდად გვიბრუნდება. იგივეს თქმა შეიძლება სუბ ნიშანზეც.

დეპოლიტიზება ნიშნავს, დარგს უვლიდეს მისი სპეციალისტი. პოლიტიკოსები არ უნდა ერეოდნენ ყველაფერში.

რაც შეეხება „აპოლოს“, იქ 2007 წელსაც აპირებდა მფლობელი კაზინოს გახსნას. კახა ტრაპაიძესაც მივწერე წერილი. მან მითხრა, რომ „აპოლოს“ გაყიდვა შეიძლებოდა.

დიანა მალლაკელიძე, კინომცოდნე – კახა ტრაპაიძეს მეც ვესაუბრე. ეს საკითხი ნაკლებად უკავშირდება კულტურის სამინისტროს ან არქიტექტორებს. ეს უშუალოდ არის კინემატოგრაფისტების დანაშაული.

გოგი გვახარია – თავის დროზე არავის გაუპროტესტებია „აპოლოს“ გაყიდვა. მხოლოდ იმიტომ რომ არ ესხენებინათ ბატონი რეზო ჩხეიძე.

დიანა მალლაკელიძე, კინომცოდნე – კახა ტრაპაიძე ამბობდა, რომ მათ არ სურდათ, რომ ეს ძველი გაყიდულიყო და ამის შესახებ ამბობდნენ კიდევ. თუმცა, მაინც

გაიყიდა ვიღაც მხედრიონელებზე. ახლა ერთადერთი რამ მაინტერესებს, რესტავრაციის შემდეგ თუ შეუნარჩუნდება მას ფუნქცია. იქ შეიძლებოდა, რომელიმე კინემატოგრაფიული ინსტიტუცია მოწყობილიყო.

ნესტან თათარაშვილი – ძეგლები კატეგორიებად იყოფა მნიშვნელობის მიხედვით. ეს იყო არქიტექტურის ეროვნული მნიშვნელობის ძეგლი. იმ პერიოდში შემდეგ კანონი შეიცვალა, არქიტექტურის ძეგლის გასხვისება საერთოდ არ შეიძლებოდა. მაგრამ ეს კანონიც დაარღვიეს. ეს არა მარტო არქიტექტურულად იყო ძეგლი, არამედ ფუნქციურადაც. ამის ბერკეტი სახელმწიფოს მაშინც ჰქონდა და ახლაც აქვს. გასხვისების შემთხვევაშიც, სახელმწიფო ვალდებულია ხელშეკრულება დაუდოს მას, ვიც ძეგლში ცხოვრობს და მით უმეტეს, თუ მისი გამოყენება უნდა. უნდა გაუწეროს, მას რისი უფლება აქვს და რისი არა. თუ მეპატრონე არ უვლის ძეგლს, სახელმწიფოს შეუძლია ჩამოართვას, და კომპენსაცია მისცეს. სხვადასხვა საფეხურების გავლაა საჭირო. „აპოლოდან“ 2004 წელს ჩამოვარდნილმა ლარნაკმა ადამიანი მოკლა. მის მეპატრონეებს რომ სიახლოვე არ ჰქონდეთ პოლიტიკოსებთან, როგორ ფიქრობთ, ასე დაუტოვებდნენ? აქ საუბარია ხელისუფლებასთან დაახლოებულ წრეებზე. „ფეისბუქზე“ ავტეხეთ ერთი ამბავი. პირადად პრეზიდენტს მივწერე წერილი. მერე „კურიერმაც“ მიუძღვნა ამას გადაცემა. იმ გადაცემაში მონაწილეობდა მესაკუთრეც, ახალგაზრდა კაცი, რომელმაც თქვა, რომ მათ ესმით ამ ძეგლის მნიშვნელობა და ამას კულტურულ ფუნქციას შეუნარჩუნებენ. დავინტერესდი, რას ნიშნავს კულტურული ფუნქცია. ჩვენ მოდერნის ორი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრები ვართ. გიგი უგულავას აქვს ხელი მოწერილი ამ დოკუმენტზე. „აპოლო“ მსოფლიო მოდერნის ერთ-ერთ გამორჩეულ ძეგლად ითვლება. ამ თემაზე შეხვედრის ორგანიზება მხოლოდ „ტფილისის ჰამქრის“ დახმარებით მოხერხდა. შემდეგ გამოქვეყნდა პროექტი, რომელსაც მანსარდა ჰქონდა დაშენებული. შემდეგ მოხსნეს მანსარდები. „ჰამქარი“ რომ არ ყოფილიყო, ამ შეხვედრას ვერ მოვახერხებდით.

* * *